პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 195 (3172)

6 ოქტომბერი, ხუთშაბათი. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე

## რომანტიკა ვერ ვნახეთ

მოსკოვი. ცენტრალური სტადიონი. 5 ოქტომბერი.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ოფკ" (ბელგრადი, იუგოსლავია) 3:0 (0:0).

„სპარტაკი": მასლაჩენკო, პეტროვი, დიკარევი, კორნეევი, კრუტიკოვი, ამბარცუმიანი, ლოგოფეტი, იანიშევსკი, ბოკატოვი, სიომინი, ჰუსაინოვი.

„ოფკ": ჯორჯიევიჩი, მილოვანოვიჩი, გავრიჩი, იოკიჩი, რადოშევიჩი, გრუიჩი, ტურუდია, კრივოკუჩა, სანტრაჩი, მიტიჩი, სტეფანოვიჩი.

მსაჯი ვ. მიხალესკუ (რუმინეთი).

როგორც ეს მოსკოველებს წესად აქვთ მიღებული, ყოველი საერთაშორისო მატჩის წინ ჟურნალისტები იკრიბებიან სამსაჯო ოთახთან. ასე შევიკრიბეთ ახლაც. იუგოსლაველმა ჟურნალისტებმა რატომღაც ჩვენ აგვირჩიეს და რუსულად გვკითხეს:

— რას ფიქრობთ ბელგრადის გუნდზე?

ჩვენ რაც შეიძლება თავაზიანი ფორმით მივუგეთ, რომ ძალიან დიდი ნაცნობობა არა გვაქვს ამ გუნდთან. მაგრამ მას შემდეგ, რაც იუგოსლაველებმა თავიანთ მინდორზე ვერაფერი გააწყეს „სპარტაკთან" და დამარცხდნენ, მათთვის ძნელი უნდა იყოს რევანშის აღება მეტოქის მინდორზე.

— ოოო! თქვენ არ იცნობთ „ოფკ"-ს. ეს ნამდვილი რომანტიკაა. მათ ყველაფერი შეუძლიათ.

ჩვენ კეთილსინდისიერად ვადევნეთ თვალი ბელგრადელთა თამაშს მთელი 90 წუთის განმავლობაში და ვერაფერი რომანტიკული ვერ ვნახეთ. გუნდი თითქმის მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძოდა. მოთამაშეები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც შეეძლოთ, მაგრამ ეს შესაძლებლობანი გაცილებით დაბალია საჭირო დონეზე, რომელიც საკმარისი იქნებოდა „სპარტაკის" დასამარცხებლად. ჩვენ ბევრი გვქონდა გაგონილი იმაზე, რომ ბელგრადელები ყოველთვის შემტევი სტილით თამაშობდნენ, რომ მათ შეუძლიათ გაუშვან ორი ბურთი, მაგრამ სამ საპასუხოს გაიტანენ. არაფერი ამის მსგავსი. „სპარტაკმა" პირველივე წუთებიდან მტკიცედ აიღო ხელთ ინიციატივა და მაღალი ტემპი შესთავაზა მეტოქეს. ბელგრადელები ვერ ასწრებდნენ ბრძოლაში ჩაბმას და ყოველთვის ზურგსუკან იყვნენ მოქცეულნი. ციფერბლატზე 10 წუთი არ იყო გასული და ჩვენებს ბარე სამჯერ შეეძლოთ მეტოქისათვის თამაშის ცენტრიდან დაწყება. ჰუსაინოვს, სიომინს, იანიშევსკის ზედიზედ ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები გოლის გასატანად. შემდეგ შეტევაში ჩაება „სპარტაკის" ორი ნახევარმცველი (ლოგოფეტი, ამბარცუმიანი). ამით მასპინძელთა დაცვა არ დაზარალებულა. და თუ პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, ბელგრადელები უნდა უმადლოდნენ მეტოქის მხრიდან დარტყმული ბურთის ავტორებს.

არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ იუგოსლაველთა გუნდი უმწეოა. ხშირი გადაცემებით მეტოქის კართან მიახლოებას ბევრი დრო სჭირდება, მაგრამ რამდენიმე საინტერესო შეტევა მათ ჰქონდათ. გუნდის მთავარი შემტევი ძალა იერიშის დასასრულს არის ცენტრალური თავდამსხმელი მიტიჩი, მაგრამ მისი დარტყმები ჩვეულებრივ ცდებოდა კარს და მასლაჩენკო იოლი შიშით კმაყოფილდებოდა.

გუნდების ძალთა შეფარდება განსაკუთრებით ნათელი შეიქნა შესვენების შემდეგ. „სპარტაკი" კვლავინდებურად განაგრძობდა შეტევას. მაგრამ თუ პირველ ტაიმში იუგოსლაველები ასწრებდნენ ხიფათის ლიკვიდირებას, მეორე ტაიმში ეს მათ უკვე გაუძნელდათ: დაღლილი დაცვა აირია და შედრკა.

55-ე წუთზე სიომინმა მაღალ კუთხეში დაარტყა. მეკარე ჯორჯიევიჩი თითებით შეეხო ბურთს, მაგრამ ვერ შეაჩერა იგი და ანგარიში გაიხსნა — 1:0. 4 წუთის შემდეგ ჰუსაინოვმა ზედიზედ მოატყუა 3 მცველი და ძლიერი დარტყმით დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი.

78-ე წუთზე „სპარტაკმა" ელემენტარული კომბინაცია გაითამაშა მარჯვენა ფლანგზე: ამბარცუმიანმა გარღვევაზე გაიყვანა იანიშევსკი. ეს უკანასკნელი გავიდა ფლანგზე და კარის წინ ჩააწოდა. აქ ბოკატოვმა წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს.

დარჩენილ დროში ბელგრადელებმა დაკარგეს რომანტიკული ხასიათი და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

„სპარტაკის" გამარჯვება ნამდვილი და უდაო იყო.

მ. კაკაბაძე,
ზ. ქორქია,
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.)

### ბულგარელ ფეხბურთელთა გამარჯვება

გუშინ სოფიაში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე განმეორებით მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სლავიისა" და „სუონზი-თაუნის" (უელსი) ფეხბურთელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:0. ვინაიდან ამ გუნდების პირველი მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა, გათამაშების მორიგ ტურში გავიდნენ ბულგარელი სპორტსმენები.

## განიხილავენ სპორტულ პრობლემებს

გუშინ მოსკოვში, სასტუმრო „იუნოსტის" საკონფერენციო დარბაზში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს III პლენუმმა, რომელიც განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამას წინათ გამოქვეყნებულ დადგენილებას ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე. მოხსენება გააკეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. მაშინმა. მომხსენებელმა ილაპარაკა იმის თაობაზე, რომ ეს დადგენილება ერთხელ კიდევ ადასტურებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ ზრუნვას საბჭოთა ადამიანების ყოველმხრივი ფიზიკური აღზრდის, მათი ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში. შემდეგ ი. მაშინმა ილაპარაკა, რომ არსებითად უნდა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა. ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, თუ შეიქმნება მოსწავლეთა ფიზკულტურულ-სპორტული საკავშირო საზოგადოება „იუნოსტი", უნდა გაუმჯობესდეს სპორტული მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში, აუცილებელია შეიქმნას ფიზკულტურის მასწავლებელთა და მწვრთნელთა მოსამზადებელი უმაღლესი სასწავლებლები, გაფართოვდეს სპორტული მშენებლობა და სხვ.

### საათი

◆ პრაღა, 5 ოქტომბერი. ადგილობრივმა „დუკლამ" განმეორებითი მატჩი მოუგო დანიის „ესბიერგს" — 4:0 და ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში გავიდა. მერვედფინალში უკვე გასული არიან ბელგიის „ანდერლეხტი", იუგოსლავიის „ვოივოდინა", გფრ-ის „მიუნხენ-1860", ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდი", ნორვეგიის „ვალერენგენსი" და პრიზის მფლობელი — მადრიდის „რეალი".

◆ ლონდონი, 5 ოქტომბერი. სპორტულმა ჟურნალისტებმა დიდი ბრიტანეთის „წლის საუკეთესო სპორტსმენად" აღიარეს ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში უელსელი სტუდენტი ლ. დევისი.

## ქალებს ცდის მთელი გუნდი

ყოველი ახალი გამარჯვება სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებს სანუკვარ მიზანთან აახლოვებს. მართალია, ევროპის ჩემპიონობაზე ფიქრი ჯერ ადრეა (მოცემულ ეტაპზე გუნდები ჯგუფებში გამარჯვებისთვის იბრძვიან), მაგრამ საბჭოთა სპორტსმენების კარგი სტარტი იმის გარანტიას იძლევა, რომ ეს დროც მალე მოვა.

მესამე წრეში ჩვენი გუნდის მეტოქე ჰოლანდიის ნაკრები იყო. ლიდერმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა — 76:45. ერთი შეხედვით ანგარიში მაინცდამაინც დამაჯერებელი არ არის, მით უმეტეს, ჰოლანდია ევროპულ კალათბურთში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გუნდში 12 კალათბურთელი თამაშობს და ასეთ პასუხსაგებ ტურნირში სათადარიგო შემადგენლობის გამოცდაც საჭიროა. ერთი სიტყვით, ჩვენი მწვრთნელები მატჩებს ისე გეგმავენ, რომ გუნდის ყველა წევრმა გაიაროს გამოცდილების სკოლა.

კლუჟის ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობენ მასპინძლები — რუმინელი კალათბურთელები. მესამე შეხვედრა მათ პოლონეთის ძლიერ გუნდს მოუგეს — 66:64. რუმინელ და საბჭოთა ოსტატებს 3-3 გამარჯვება აქვთ. ამ ჯგუფის სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ჰოლანდიელთა გამარჯვება იტალიელებზე — 48:45.

სიბიუს ჯგუფის მორიგ კალენდარულ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ბულგარეთი — გფრ 75:30, იუგოსლავია — საფრანგეთი 74:60, ჩეხოსლოვაკია — გდრ 69:54.

კალათბურთი

## მარცხის შემდეგ გამარჯვება

ობერჰაუზენი, 4 ოქტომბერი. დღეს დილით ქალთა III საჭადრაკო ოლიმპიადაზე I ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრებისას, ნიკოლაუმ ზუსტი თამაშით მოუგო გაფრინდაშვილს. ამრიგად, მატჩი ანგარიშით 2:0 მოიგო რუმინეთის გუნდმა.

საღამოს, II ტურში სსრ კავშირის გუნდი შეხვდა გფრ-ის ნაკრებს. გაფრინდაშვილმა მძაფრად დალაშქრა სტიბანერის პოზიცია და პაიკი მოიგო. ეს საკმარისი აღმოჩნდა მეტოქის დამარცხებისთვის. ზატულოვსკაია შეხვდა კარნერს. 2 პაიკის წაგების შემდეგ, გერმანელმა მოჭადრაკემ ფარ-ხმალი დაჰყარა. მატჩის შედეგია 2:0.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: იუგოსლავია — პოლონეთი 1,5:0,5, ჩეხოსლოვაკია — ავსტრია 2:0, ბულგარეთი — რუმინეთი 0,5:0,5 (1), გდრ — დანია 1:0 (1), უნგრეთი — ინგლისი 0:0 (2), ჰოლანდია — აშშ 0:0 (2).

2 ტურის შემდეგ ლიდერობენ ჩეხოსლოვაკია (3,5 ქულა), იუგოსლავია (3) და რუმინეთი — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

## სხარტი სტრიქონები

● კიევი, 4 ოქტომბერი. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში (3×20) ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ლენინგრადელმა დინამოელმა ქალმა კ. რიაბინსკაიამ — 583 ქულა. კიეველი ლ. ჩერნიავსკაიას ძველი მიღწევა 4 ქულით გაუმჯობესდა. ამ შედეგის ჩვენებით რიაბინსკაიამ სსრ კავშირის ჩემპიონის მეორე ოქროს მედალი დაისაკუთრა. II ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა კ. ბოიკომ — 578, III — ლენინგრადელმა ე. ზახარჩენკომ — 574 ქულა.

## გუშინ...

ლენინაკანი, 5 ოქტომბერი. გრძელდება სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებებისა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების ტურნირი მძლეოსნობაში. დღეს ბრძოლაში ჩაებნენ მრავალჭიდელები. ხუთჭიდში დაწინაურდა ლენინგრადელი ო. კარდაში, რომელსაც 2841 ქულა აქვს. მან 80 მ თარჯრბენში 11,7 აჩვენა. ბირთვი კრა 14,51 მეტრზე და 155 სმ სიმაღლე გადალახა. მას 16 ქულით ჩამორჩება გ. სოფინა (მოსკოვის ოლქი, „სპარტაკი"), III ადგილზეა კრასნოდარელი ნ. გოლუბევა — 2764 ქულა.

ვაჟთა შორის ათჭიდში დაწინაურდა კრასნოდარელი ვ. მიხაილჩენკო („დინამო"), რომელმაც 3 სახეობის (100 მ — 10,9, სიგრძე — 773, ბირთვი — 14,09) მერე 2529 ქულა მოაგროვა. სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისელი დინამოელი ი. დიაჩკოვი ლიდერს 6 ქულით ჩამორჩება (11,1; 760; 15,22). სამაგიეროდ, იგი 92 ქულით ასწრებს III ადგილზე მყოფ ვ. სტოროჟენკოს (კიევი), რომელმაც აღნიშნულ სახეობებში შესაბამისად აჩვენა 11,1; 709; 15,42.

როგორც ხუთჭიდში, ისე ათჭიდში ჩემპიონები ხვალ გამოვლინდებიან. გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით ასეთი მდგომარეობაა: 1. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ნაკრები — 759 ქულა, 2. პროფკავშირთა I კოლექტივი — 638,3, 3. „დინამო" — 553,5 ქულა.

თ. მაჩაბელი,
ა. სტეპანოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯები.



მალე თბილისში გაიმართება სსრ კავშირის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ტურნირისთვის კარგა ხანია ემზადებიან სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები კოლექტივები; აწყობენ თავიანთ პირველობებს, არჩევენ უძლიერეს სპორტსმენებს. „ბურევესტნიკის" ცენტრალურმა საბჭომ ნაკრების დაკომპლექტების შემდეგ გუნდის წევრებს თავი მოუყარა ბათუმში. აქ არიან სევასტოპოლელი ათლეტები ტ. ალიშკევიჩი და ე. ოვსიანიკოვა, ლენინგრადელები — ლ. მერკურიევა და ნ. ლომჩინსკაია, კიეველები — ნ. გორბენკო და ლ. სოკოლოვა, ბაქოელები — ლ. ვინიკოვა და ე. აივაზოვა, ომსკელი — ტ. მოისენკო, გროზნოელები — მ. ლარიბაშვილი და ნ. ოვჩინიკოვა და სხვები.

სტუდენტები აქ ყოველდღიურად ვარჯიშობენ, იმაღლებენ ტექნიკური მომზადების დონეს, რათა თავიანთი საზოგადოების სპორტული ღირსება წარმატებით დაიცვან საკავშირო ტურნირში.

ე. პეტროვი.

სურათზე: გროზნოელი ნ. ოვჩინიკოვა ასრულებს ნებისმიერ ვარჯიშს მანდილით.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

# ტარიელ ბახტაძის რეკორდი და ბრინჯაო

ლენინაკანი, 4 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების ტურნირზე გათამაშდა ჩვენი ქვეყნის პირველობის ის 48 მედალი, რომლებიც დნეპროპეტროვსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში არ გათამაშებულა.

მედლების ზოგიერთი მფლობელის შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. ახლა დავუმატებთ იმას, ვინც მათ დაეუფლა ესტაფეტებში. ქალთა შორის 4×100 მეტრზე რბენაში „ოქრო" მოიპოვა პროფკავშირების I ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. გრიგორიევა, ტ. არნაუტოვა, ლ. სამოტიოსოვა და რ. ლაცე — 44,9. მათ 0,8 წამით ჩამორჩა შეიარაღებულ ძალთა კვარტეტი — 45,7. „ბრინჯაო" მიეკუთვნა „დინამოს" I გუნდს — 46,2. პროფკავშირთა I კოლექტივის უპირატესობით აღინიშნა ესტაფეტა 4×200 მეტრზეც — გუნდი იმავე შემადგენლობით გამოდიოდა, როგორც 4×100 მეტრზე რბენაში, ოღონდ ეგ იყო, არნაუტოვას ადგილი ლ. ესინამ დაიკავა. გამარჯვებულებმა აჩვენეს 1.34,8. ეს შედეგი 0,1 წამით უარესია მსოფლიოს რეკორდზე, რომელიც 1964 წელს სსრ კავშირის ათლეტებმა დაამყარეს. აქ II და III ადგილები ისევ არმიისა (1.36,6) და „დინამოს" I (1.37,7) გუნდებმა მოიპოვეს.

ვაჟთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ამანათი ფინიშთან ყველაზე ადრე მიიტანეს არმიელებმა — ვ. კასატკინმა, ე. ოზოლინმა, ლ. კაშეევმა და ვ. ზუბმა — 39,9. პროფკავშირთა I გუნდი 0,1 წამით ჩამორჩა.

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, **400 მეტრზე რბენაში ტ. ბახტაძემ 47,8 წამი აჩვენა. ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია.** აღსანიშნავია, რომ თბილისის სავაგონო დეპოს ხარატი, სპორტის ოსტატი ტ. ბახტაძე პირველი სპორტსმენია რესპუბლიკაში, რომელმაც ამ მანძილზე 48 წამზე უკეთეს დროში ირბინა (ძველი რეკორდიც მასვე ეკუთვნოდა — 48,2). ბახტაძე პროფკავშირთა პირველი ნაკრების შემადგენლობაში ესტაფეტაში 4×400 მეტრზეც ცდიდა ძალებს. გუნდმა აჩვენა 3 წუთი და 10 წამი, რამაც კვარტეტს ბრინჯაოს მედლება მოუპოვა. აქ პირველობა მოიგო შეიარაღებულ ძალთა პირველმა კოლექტივმა (ა. ივანოვი, ვ. ფროლოვი, ვ. ონისიმოვი, გ. სვერბეტოვი) — 3.08,0. არმიელთა II გუნდმა „ვერცხლი" დაისაკუთრა — 3.09,5.

ტურნირში თავი ისახელა თბილისელმა ი. დელა-როსამაც („განთიადი"), მაღალმთიანი კლიმატის მიუხედავად მან 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა და პირველობა დაისაკუთრა — 4:26.03.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის გამო

## „თინათინის გამეფება"



თეთრები იწყებენ და იგებენ.

ეტიუდში სიმბოლურადაა გამოსახული არაბთა მეფის კარზე შექმნილი მდგომარეობა: როსტევანი მოხუცებულობის გამო (რაც გამოსახულია თეთრი მეფის იზოლაციით) საჭიროდ მიიჩნევს თავისი ერთადერთი ასულის გამეფებას:

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული".

ეტიუდის შესავალი სვლები აღნიშნავენ იმ წინააღმდეგობას, რომელიც თან ახლდა თინათინის გამეფებას. ლაზიერი მეთოდურად სდევნის შავ მეფეს h ვერტიკალზე.

„უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მიათა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
მუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა,
ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა".

ვ. კალანდაძე,
საჭადრაკო ეტიუდისტი.

## თასის პირველი მფლობელნი

ცხაკაიას ჭადრაკის მესვეურებმა დააწესეს შოთა რუსთაველის სახელობის ორი გარდამავალი თასი უმცროსი და უფროსი ასაკის ნორჩ მოჭადრაკეთათვის.

უფროსი ასაკის ნორჩების ასპარეზობაში თასის მფლობელი გახდა II საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლე, პირველთანრიგოსანი კ. სანიკიძე, რომელმაც 14,5 ქულა მოაგროვა 15-დან. უმცროს ასაკში ჯილდო დაიმსახურა ვ. გვასალიამ — 13 ქულა 16-დან.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## იუბილეს მიუძღვნეს

ახლახან ზესტაფონში ჩატარდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა. სპორტსმენები ასპარეზობდნენ 11 სახეობაში, სადაც საერთო გუნდური გამარჯვება წილად ხვდა „განთიადის" ნაკრებს. II ადგილზე გამოვიდნენ „კოლმეურნის" წარმომადგენლები, ხოლო III — სპარტაკელები.

ა. ბანუგრავა.

მასობრივი საკავშირო კომკავშირულ-პროფკავშირულ მძლეოსნურ კროსში საქართველოს ათლეტები მუდამ წარუმატებლად გამოდიოდნენ და ერთ-ერთი ბოლო ადგილით კმაყოფილდებოდნენ ხოლმე. ამას სპეციალისტები რესპუბლიკური შეჯიბრებების ნაუცბათევი, ცუდი ორგანიზაციითა და გუნდების უხეირო დაკომპლექტებით ხსნიდნენ. ალბათ, ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება ისახავდა მიზნად საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც წლევანდელი საშემოდგომო მასობრივი კომკავშირულ-პროფკავშირული კროსის დებულება ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციას მაისში დაუგზავნა და დაავალა მოსამზადებელი სამუშაოები მაშინვე გაეშალათ.

დებულება შესაბამისი საკავშირო ტურნირის დებულებიდან ერთგვარ გადახვევას აკეთებდა. იგი ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებით, საქართველოში მძლეოსნობის შემდგომი განვითარებისთვის ზრუნვით იყო განპირობებული. კერძოდ, საკავშირო კროსის დებულება მხოლოდ ტრადიციულად დადგენილ დისტანციებზე ასპარეზობას ითვალისწინებს, ჩვენი კი შეჯიბრებებში მონაწილე კოლექტივებს ავალებდა გოგონები გამოეყვანათ 500, 800 და 1000 მეტრზე, ჭაბუკები — 800, 1000, 2000 და 3000 მეტრზე, ქალები — 500, 800, 1000 და 2000 მეტრზე, ხოლო ვაჟები — 800, 1000, 2000, 3000, 5000 და 8000 მეტრზე საასპარეზოდ.

რესპუბლიკური კომკავშირულ-პროფკავშირული კროსის ფინალამდე 4 თვე იყო. ეს კი საკმარისზე მეტი დროა იმისთვის, რომ მასობრივი შეჯიბრებანი გამართულიყო როგორც პირველ (საამქროების, განყოფილებების, ფაკულტეტების, სასწავლო ჯგუფების), ისე მეორე (საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების) და მესამე (სარაიონო და საქალაქო) ეტაპებზე და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებათა საბჭოებსა და განათლების სამინისტროს თავიანთი რესპუბლიკური ტურნირების შედეგების მიხედვით შეედგინათ და მეოთხე ეტაპზე — ფინალური ტურნირის ყველა დისტანციაზე გამოეყვანათ ნაკრები გუნდები. საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, როცა დებულებას ამტკიცებდა, ალბათ, ვარაუდობდა I-III ეტაპებზე მასობრივი შეჯიბრებები გაიმართებაო, ამიტომაც ფინალის მონაწილეებს დიდი მოთხოვნები აღარ წაუყენა. „განთიადს", „ბურევესტნიკს", „სპარტაკს", „ლოკომოტივს", „კოლმეურნეს", „შრომით რეზერვებს" ფინალის ცალკეულ დისტანციაზე 2-2 მონაწილე უნდა გამოეყვანათ. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ განათლების სამინისტროს ნაკრები, რომელსაც ვაჟთა და ქალთა გუნდების ნაცვლად ჭაბუკთა და გოგონების 2-2 გუნდით ასპარეზობის უფლება ეძლეოდა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გუშინწინ თბილისში, კუს ტბის მიდამოებში გამართული რესპუბლიკური კროსის ფინალმა არა მარტო ზოგიერთი სპორტსაზოგადოების უმოქმედობას, არამედ დებულების ნაკლოვანებებსაც ახადა ფარდა.

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო ტურნირში იოლ გამარჯვებას ვარაუდობდა. იგი იმედს ძირითადად გრძელ დისტანციებზე მორბენალ ქალებსა და ვაჟებზე ამყარებდა, ამიტომაც თავი არ შეიწუხა გოგონების 500 და 800 მეტრზე, ქალების 500, 800 და 1000 მეტრზე, ვაჟებისა და ჭაბუკების 800, 1000 და 2000 მეტრზე რბენაში გამოყვანით, ხოლო დღის ბოლოს, როცა დამარცხების წინაშე აღმოჩნდნენ, დებულების ზოგიერთი პუნქტი სადაო გახადეს. რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლებმა ყველაფერი პროფსაბჭოს გადააბრალეს, თითქოს და იქ ეთქვათ, გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ ის დისტანციები შევა, რომლებიც საკავშირო კროსის პროგრამაშიაო. ჯერ ერთი, დებულების შეცვლა შეჯიბრების ჩამტარებელ ორგანიზაციას შეუძლია მხოლოდ წერილობით და მეორეც, ამის შესახებ უნდა იცოდეს ტურნირში მონაწილე ყველა კოლექტივმა. დებულების შეცვლა კი სინამდვილეში აზრადაც არავის მოსვლია.

როცა „ბურევესტნიკი" ამ ხრიკებით ფონს ვერ გავიდა, მაშინ დებულებაში დაშვებულ უზუსტობას მოეჭიდა. დებულებაში კი წერია: ფინალურ კროსში გამარჯვებული გამოვლინდება ვაჟთა, ქალთა და იუნიორთა მიერ მოპოვებული ადგილების შედეგად მიღებული ქულათა უმცირეს ჯამით.

სამწუხაროდ, დებულების შემდგენლებს დავიწყებიათ ასეთი შენიშვნის გაკეთება: ამა თუ იმ დისტანციაზე გუნდის გამოუყვანლობისთვის კოლექტივს ეძლევა ბოლო ადგილი პლიუს 1 საჯარიმო ქულა.

ეჭვი არ გვეპარება, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოში გულისხმიერად რომ გაცნობოდნენ კროსის დებულებას და ყურად არ ეღოთ ზეპირი განცხადებანი (თუ კი ასეთი რამ იყო), არც სრული გუნდების გამოყვანა გაუჭირდებოდათ და არც პირველობის მოგება.

ასეა თუ ისე, შეჯიბრება დამთავრდა, გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული კი გამოუვლინებელი დარჩა. რესპუბლიკურმა კროსმა იმედი ვერც მასობრიობით გაამართლა. ფინალში, როგორც აღვნიშნეთ, 7 საზოგადოებასა და უწყებას უნდა მიეღო მონაწილეობა. მაშასადამე, ცალკეული დისტანციების სტარტზე სულ ცოტა 14-14 ათლეტი მაინც უნდა გამოსულიყო. სინამდვილეში კი, განსაკუთრებით ქალებსა და გოგონებთან, პირდაპირ სამარცხვინო მოვლენებს ჰქონდა ადგილი: 1000 მეტრზე ქალთა რბენაში ერთადერთი სპორტსმენი და ისიც ველოსიპედისტი ვ. პუტიატინა („განთიადი") — 4.08,0 გამოვიდა. 2000 მეტრზე კი მხოლოდ 4 ქალი ასპარეზობდა. 800 მეტრზე გოგონათა რბენაში მონაწილეთ სანერვიულო არაფერი ჰქონდათ, ვინაიდან 3 ასპარეზობდა და, ცხადია, სამივემ თავიდანვე გაინაღდა საპრიზო ადგილი. გამარჯვებისთვის 4-4 სპორტსმენი იბრძოდა: ვაჟთა 1000 და 2000 მეტრზე, გოგონათა 1000 მეტრზე და ქალთა 500 მეტრზე რბენაში. ხალხმრავლობა მხოლოდ 800 მეტრზე ჭაბუკთა რბენისას იყო, რომლის სტარტზე 11 ათლეტი გამოვიდა (!).

## ისევ საკალენდრო შედეგები

შეჯიბრება ვერც ბრძოლათა სიმწვავით დაიქადნის. დაბალია მონაწილეთა უმეტესობის ტექნიკური მაჩვენებლები. ვერ დავემდურებით მხოლოდ 500 მეტრზე ქალთა რბენაში გამარჯვებულ ვ. თეთრაძეს („განთიადი") — 1.15,6, 2000 მეტრზე უძლიერესს — რ. შჩიკოვსკაიას („ლოკომოტივი") — 7.19,2, აგრეთვე ვაჟებში საუკეთესოებს: 2000 მეტრზე რბენაში — ა. მოსულიშვილს („კოლმეურნე") — 6.15,2, 3000 მეტრზე — ა. უროვსკის — 9.15,0 და ი. სოვეტკინს (ორივენი — „ბურევესტნიკი") — 9.31,0, 5000 მეტრზე რბენის სამივე პრიზიორს — ი. ზეინან-ოღლის („ლოკომოტივი") — 16.41,0, ლ. ვასილენკოს („ბურევესტნიკი") — 16.46,0 და ი. დელა-როსას („განთიადი") — 16.54,0 (განსაკუთრებით საქებია დელა-როსა. წინდღით ლენინაკანში სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდების მატჩში მან 50 კილომეტრზე სპორტული სიარული მოიგო). ზემოჩამოთვლილმა ათლეტებმა რბენა II თანრიგზე უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრეს. II თანრიგის ნორმატივს გადააჭარბეს, აგრეთვე 8000 მეტრზე მორბენალმა ვაჟებმაც: ა. კორნეიჩუკმა („ბურევესტნიკი") — 25.42,0, კონკურსგარეშე მონაწილე ა. დავიდენკომ — 25.47,0, ი. მიხაილჩენკომ („ბურევესტნიკი") — 25.52,0 და ე. პიუნოვმა („ლოკომოტივი") — 26.13,0.

სხვა სახეობებში ჩემპიონები გახდნენ: გ ო გ ო ნ ე ბ შ ი: 500 მეტრზე — ვ. ტუგულაშვილი („სპარტაკი") — 1.26,0; 800 მეტრზე — ც. მერაბოვა („კოლმეურნე") — 2.59,8; 1000 მეტრზე — ნ. ბახტაძე („ბურევესტნიკი") — 3.34,0; ჭ ა ბ უ კ ე ბ შ ი: 800 მეტრზე — ა. ეპიმახინი („განთიადი") — 2.19,4; 1000 მეტრზე — რ. წიკლაური („შრომითი რეზერვები") — 2.55,3; 2000 მეტრზე — ვ. შალამოვი („განთიადი") — 6.52,0; 3000 მეტრზე — დ. კილაძე („ბურევესტნიკი") — 10.09,0; ვ ა ჟ ე ბ შ ი: 800 მეტრზე ვ. ოგანესიანი („სპარტაკი") — 2.20,7, 1000 მეტრზე — თ. პაპაშვილი („კოლმეურნე") — 3.14,8.

ო. გელაშვილი.

# თბილისის „ლოკომოტივი" დიდ ოთხ...

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სამტრედიაში დამთავრდა რეგბისტთა პირველი საკავშირო ჩემპიონატის მატჩები IV ქვეჯგუფის გუნდებისთვის. უკანასკნელ შეხვედრამდე ლიდერობდა თბილისის „დინამო", რომელმაც სტარტზე „ლოკომოტივთან" ფრედ (3:3) ითამაშა, ხოლო შემდეგ, ასე ვთქვათ, „გაანადგურა" ერევნელი თანაკლუბელები — 56:6 და ამით მეტად რთული ამოცანის წინაშე დააყენა „ლოკომოტივი".

რკინიგზელებს ფინალში გასვლისთვის სჭირდებოდათ ერევნის „დინამოს" დამარცხება ისეთი ანგარიშით, რომელიც თბილისის დინამოელთა მაჩვენებელს გადააჭარბებდა. ვინაიდან დიდ ოთხეულში ადგილის დამკვიდრების საგზურს სწორედ ქულათა სხვაობა წყვეტდა.

როგორც ხედავთ, ამოცანა საკმაოდ რთული იყო. თბილისელი რკინიგზელები კოლექტივის წინასწარ თათბირზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მთელი ენერგია ამ მიზნის მიღწევისთვის მოეხმარათ. საამისოდ კი ძირითად იარაღს მხოლოდ და მხოლოდ გამუდმებული იერიშები წარმოადგენდა. მეტოქე კი თითქოს არც ისე სუსტი იყო. ამ გუნდების წინანდელი ამხანაგური შეხვედრა, რომელიც თბილისში გაიმართა, მასპინძლების გამარჯვებით — 16:3 დამთავრდა. მას შემდეგ ერევნელებმა მოსკოვში შეკრების გამართვით კარგი სკოლა გაიარეს და სამტრედიაში ჩამოსულნი ძნელ ბრძოლებს გვპირდებოდნენ. მართლაც, „ლოკომოტივისა" და ერევნის „დინამოს" გადამწყვეტ შეხვედრაში სომეხი რეგბისტები თავგამოდებით იბრძოდნენ. ჯერ ერთი, ეს მათი სპორტული ღირსების საქმე იყო, და მეორეც, თუ ისინი „ლოკომოტივს" ამოცანის გადაწყვეტაში ხელს შეუშლიდნენ, ამით თბილისელ თანაგუნდელთა წისქვილზე დაასხამდნენ წყალსა და მათ ფინალისკენ გაუხსნიდნენ გზას.

ამ განზრახვას მატჩის წინაც არ მალავდნენ ერევნელები და მოსკოველი მსაჯის ი. დაინეკოს შეხვედრის დაწყების მაუწყებელი სასტვენისთანავე მედგრად ეკვეთნენ მეტოქეს. აქ ისინი წააწყდნენ მასირებულ დაცვას, რომელმაც კარისკენ მიმავალი ყველა გზა საიმედოდ ჩაკეტა. მალე რკინიგზელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ზედიზედ შეუტიეს „დინამოს".

„ლოკომოტივი" ამ შეხვედრაში ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: მ. ბენიაშვილი, ვ. ფეტვიაშვილი, ნ. კირტავა, დ. დავითაია, გ. ფაჯიშვილი, ვ. რაფავა, ვ. სვანიძე, შ. ბენიაშვილი, გ. მიქაბერიძე, გ. ტონია (ზ. ხარშილაძე), თ. ლექავა, მ. გეგეშიძე, გ. ჯაფარიძე, თ. ოქრუაშვილი და თ. რუხაძე.

მატჩის I ნახევარი „ლოკომოტივმა" მოიგო — 27:0.

მატჩის განახლების შემდეგ თამაში უფრო საინტერესო გამოდგა. ერევნელებმა თავიანთ მოქმედებაშიც ერთგვარი გარდატეხა შეიტანეს და პირველ წარმატებასაც მიაღწიეს. ეს იყო მათი ერთადერთი საპასუხო გოლი, რომლის სანაცვლოდ თბილისელებმა კიდევ ... ქულა „მოიმკეს".

შეხვედრა დამთავრდა ასტრონომიული ანგარიშით — 61:3 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ... ვისებური რეკორდი დაამყარა ... ვითაიამ. თავის გუნდს მან 50 ... ლა შესძინა, რაც ალბათ დიდხანს დარჩება მიუწვდომელი. ამრიგად, ცნობილი გახდა პირველი ფინალისტი. ეს არის თბილისის „ლოკომოტივი". დანარჩენ ოქროს 3 მაძიებელს გამოავლენს ლენინგრადის, კიევისა და მოსკოვის ქვეჯგუფების მატჩები, რის შემდეგ დიდი ოთხ...

# ფეხბურთი 1966

[illegible]

4 ოქტომბერი

**„დინამო" (კიევი) — ცსკა 4:0 (0:0).** ოთხივე ბურთი არმიელთა კარში თამაშის მეორე ნახევარში გავიდა. 2 გოლის ავტორია გათამაშების საუკეთესო სნაიპერი ბიშევეცი, თითო ბურთი გაიტანეს მედვიდმა და საბომ.

**„ნეფტიანიკი" (ბაქო) — „პახტაკორი" (ტაშკენტი) 5:0 (2:0).** ბურთები გაიტანეს ტუაევმა (3), მარქაროვმა და ზეინალოვმა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 მატჩში აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა 11 ბურთი გაიტანეს ისე, რომ თავის კარში არც ერთი არ მიუღიათ.

**„კაირატი" (ალმა-ათა) — „არარატი" (ერევანი) 0:0.** 30 ათასი მაყურებელი უინტერესო თამაშის მოწმე გახდა. შეხვედრის მსაჯმა ბ. სოლოვიოვმა (მოსკოვი) რამდენჯერმე შეაჩერა თამაში და სტუმრებს პასიურობისთვის გაფრთხილება მისცა.

**„ზენიტი" (ლენინგრადი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 0:0.** კიევის დინამოელებთან კარგად ჩატარებული მატჩის შემდეგ ლენინგრადელი ფეხბურთელები აღმავლობით თამაშობდნენ, მაგრამ კარში არაზუსტმა დარტყმებმა მათ ანგარიშის გახსნის საშუალება არ მისცა.

**„დინამო" (მინსკი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0.** მასპინძლების ტერიტორიული უპირატესობა ამ მატჩში ცხადზე ცხადი იყო. უმაღლესი შეფასება დაიმსახურა კუიბიშეველთა დაცვისა და მეკარის თამაშმა.

**ასკ (როსტოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 0:0.** ორივე მხარემ თავი გამოიჩინა უხეში თამაშით. მსაჯი ა. კიმკო ხშირად ერეოდა მატჩის მსვლელობაში. მასპინძლებმა ხელიდან გაუშვეს გოლის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი.

## „ა" კლასი I ჯგუფი

## „ა" კლასი II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 28 | 16 | 6 | 6 | 43—22 | 38 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 28 | 12 | 13 | 3 | 44—22 | 37 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 28 | 11 | 13 | 4 | 29—13 | 35 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 28 | 13 | 8 | 7 | 28—19 | 34 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 27 | 12 | 9 | 6 | 31—14 | 33 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 27 | 9 | 11 | 7 | 33—33 | 29 |
| „ნემანი" (გროდნო) | 29 | 9 | 11 | 9 | 22—26 | 29 |
| „დაუგავა" (რიგა) | 26 | 10 | 8 | 8 | 36—25 | 28 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 29 | 10 | 8 | 11 | 22—29 | 28 |
| „დინამო" (ბათუმი) | 28 | 10 | 7 | 11 | 30—32 | 27 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 28 | 9 | 8 | 11 | 28—34 | 26 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 27 | 7 | 10 | 10 | 30—35 | 24 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 29 | 8 | 8 | 13 | 21—29 | 24 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 28 | 6 | 12 | 10 | 13—24 | 24 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 27 | 7 | 9 | 11 | 19—29 | 23 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 29 | 7 | 7 | 15 | 24—42 | 21 |
| „დინამო" (ტალინი) | 28 | 4 | 6 | 18 | 16—41 | 14 |

შენიშვნა: ჩვენს გაზეთში სწორად არ იყო აღნიშნული ნალჩიკისა და ბათუმის გუნდების შეხვედრის ანგარიში. სინამდვილეში ნალჩიკის „სპარტაკმა" ბათუმის „დინამოს" მოუგო 1:0.

## „ბ" კლასი IV ზონა

4 ოქტომბერს გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები. აი, რას გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები:

### ტყიბულიდან

ადგილობრივმა „მეშახტემ" მიიღო ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი—კისლოვოდსკის „სპარტაკი". მასპინძლებმა თამაში ჩაატარეს შინაარსიანად, შეტევ სტილში. ინიციატივა როგორც პირველ, ისე მეორე ნახევარში „მეშახტეს" ეპყრა ხელთ. ანგარიში მე-9 წუთზე გახსნა ლეჟავამ. 35-ე წუთზე მელიქიძემ გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და სპარტაკელებს მეორედ დააწყებინა თამაში ცენტრიდან. შესვენების შემდეგ ინიციატივა კვლავ მასპინძლების მხარეს იყო. ერთ-ერთი შეტევა კარში ძლიერი დარტყმით დააგვირგვინა ლეჟავამ. ბურთი მოხვდა ძელს და იქიდან ბადეში გაეხვია. „მეშახტემ" მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 3:0. კარგად ჩაატარა შეხვედრა ტყიბულელთა მეკარე ძიძიგურმა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო თამაშებს „მეშახტე" აღმავლობით ატარებს. ეს გუნდის მდგომარეობასაც დაეტყო. იგი სატურნირო ცხრილში მტკიცედ ინარჩუნებს ერთ-ერთი ლიდერის მდგომარეობას.

ზ. ჯორჯაძე.

### ზუგდიდიდან

„ენგურისა" და რუსთავის „მეტალურგის" მატჩის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ორივე მხარეს ჰქონდა ანგარიშის გახსნის რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა. შესვენების შემდეგ ერთხანს ინიციატივა მასპინძლების მხარეს იყო. თამაშის 65-ე წუთზე ზუგდიდელმა ალმასიამ კარგად მოატყუა მცველი და ბურთი თავისუფალ ადგილზე მყოფ ბულიას გადასცა. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა კარში დარტყმა და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0. ეს გოლი ამ მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა.

ბ. ალშიბაია.

### სოხუმიდან

უკანასკნელ შეხვედრებს გორის „დილაც" აღმავლობით ატარებს. გუშინწინ მან გასვლით მატჩშიც წარმატებას მიაღწია. თავდაპირველად ინიციატივას სოხუმის დინამოელები ფლობდნენ და მე-6 წუთზე გადელიამ ანგარიშიც გახსნა — 1:0. შემდეგ უპირატესობა გორელთა მხარეს გადავიდა და პირველი ნახევრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე საბანაძემ გაქვითა გოლი — 1:1. მეორე ტაიმის მე-9 წუთზე რევაზიშვილმა წინ გაიყვანა „დილა". 2:1 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „დილის" ფეხბურთელებმა.

შ. ჯალაღონია.

### ფოთიდან

ადგილობრივმა „კოლხიდამ" თავის მინდორზე მიიღო გურჯაანის „ალაზანი". ანგარიში გახსნეს სტუმრებმა: 30-ე წუთზე მენთეშაშვილმა ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი. შესვენების შემდეგ ფოთელმა გვაზავამ თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. რამდენიმე წუთის შემდეგ გურჯაანელთა კარში კვარაცხელიას მეორე ბურთი გააქვს, 70-ე წუთზე „ალაზანი" ეწევა მეტოქეს. წოწორიას გააქვს ბურთი, რომელმაც გურჯაანელებს 1 ქულა მოუტანა.

ა. ლომაია.

## სნაიპერები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ა. ბიშევეცი („დინამო" კიევი) | — 17 ბურთი | კ. ტუაევი („ნეფტიანიკი" ბაქო) | — 13 ბურთი |
| ი. დათუნაშვილი („დინ." თბ.) | — 16 ბურთი | ე. სტრელცოვი („ტორპ". მოსკ.) | — 12 ბურთი |
| ბ. კაზაკოვი (ცსკა) | — 14 ბურთი | ს. ვარგა (ცსკა) | — 11 ბურთი |
| ნ. ოსიანინი („სპარტაკი" მოსკოვი) | — 13 ბურთი | ბ. მატვეევი (ასკ როსტოვი) | — 10 ბურთი |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

### I-X ადგილები

● **„გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 2:1. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).**

მატჩი მეტად მწვავე ბრძოლით აღინიშნა. მასპინძლები ენერგიულად უტევდნენ და საჭიროების შემთხვევაში დროზე გადადიოდნენ დაცვაში. ანგარიში მე-19 წუთზე ლანჩხუთელმა სიხარულიძემ გახსნა. ტაიმის ბოლოს ძაგანიამ მარჯვენა ფრთაზე გადაინაცვლა, გვერდი აუარა მცველს და საპასუხო გოლი გაიტანა. შესვენების შემდეგ ლანჩხუთელებმა ტაქტიკა შეცვალეს და აქცენტი ძირითადად ფლანგებზე გადაიტანეს. ერთ-ერთი იერიშის დროს კვირკველიამ კარგად გაიყვანა სიხარულიძე და ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა კარში.

● **„მესხეთი" (ახალციხე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

● **„შუქურა" (ქობულეთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 4:3. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).**

მთელ პირველ ტაიმში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. ისინი მოქმედებდნენ უფრო გაბედულად, გააზრებულად და მე-40 წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში. ერთი წუთის შემდეგ ქობულეთელმა ჯობავამ ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი მოხვდა მეკარეს და... ანგარიში გათანაბრდა—1:1. პირველი ნახევრის ბოლო წუთზე ქობულეთელ მანელიშვილს წინ გაყავს თავისი გუნდი — 2:1. შესვენების შემდეგ კუპრაძე კვლავ ათანაბრებს ანგარიშს— 2:2. მაგრამ ქობულეთელთა უპირატესობა უკვე აშკარა ხდება. იმავე მანელიშვილსა და პალტაჩიდის კიდევ თითო ბურთი გააქვთ მახარაძელთა კარში. შეხვედრის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როდესაც ბურთი ქობულეთელთა კარში გავიდა. გოლის ავტორი იყო სალუქვაძე.

● **„განთიადი" (ბორჯომი) — „სინათლე" (თბილისი) 2:1. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).**

სატურნირო ცხრილში გუნდებს სხვადასხვა ადგილი უკავიათ. ამის მიუხედავად თამაში დაძაბული და საინტერესო გამოდგა. 26-ე წუთზე მასპინძლების კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც თბილისელებმა კარგად გამოიყენეს. მიღებულმა ბურთმა ბორჯომელები გამოაფხიზლა. ისინი დიდი ხნით „დასახლდნენ" თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. ერთ-ერთი შეტევის დროს მშვიდობაძემ ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. შესვენების შემდეგ ბორჯომელმა ოგანეზოვმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

### XI-XXIV ადგილები

● **„მეშახტე" (ტყვარჩელი) — „დინამო" I (თბილისი) 4:1. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

ტყვარჩელელებმა ყოველ ტაიმში ორ-ორი ბურთი გაიტანეს, თავის კარში კი შეხვედრის ბოლო წუთებში მხოლოდ ერთი ბურთი მიიღეს.

● **„ბახმარო" (ჩოხატაური) — „ოდიში" (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ს. ალიხანოვი (თბილისი).**

● **„მაღაროელი" (ჭიათურა) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ტ. ერგემლიძე (ტყიბული).**

● **„დინამო" (ქუთაისი) — ასკ (თბილისი) 3:2. მსაჯი ნ. ამირაჯიბი (თბილისი).**

შეხვედრის მე-7 წუთზე არმიელმა ზუბეცმა გახსნა ანგარიში. მაგრამ სულ მალე კობახიძემ საპასუხო გოლი გაიტანა. პირველი ნახევრის დამთავრებამდე მეტოქეებმა კიდევ თითოჯერ „შეაშფოთეს" მეკარეები — 2:2. მეორე ნახევარში ქუთაისელები გააქტიურდნენ და გადამწყვეტი ბურთიც გაიტანეს.

● **ბათუმში გამოუცხადებლობისთვის სამტრედიის „ლოკომოტივს" დამარცხება ჩაეთვალა.**

● **„ისანი" (თბილისი) — „ირისთონი" (ცხინვალი) 4:2. მსაჯი ტ. ერგემლიძე (ტყიბული).**

მთელი მატჩის მანძილზე ინიციატივას თბილისელები ფლობდნენ, რომლებმაც გახსნეს კიდევაც ანგარიში (25-ე წუთზე). შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ სამი ბურთი გაიტანეს, საკუთარ კარში კი მხოლოდ ორი მიიღეს. აღსანიშნავია, რომ მსაჯმა ერგემლიძემ, რომელმაც კარგად ჩაატარა შეხვედრა, დროზე აღკვეთა უხეშობა.

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

#### I ზონა

„გარეჯი" (საგარეჯო) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 4:0, „შირაქი" (წითელწყარო) — „ალაზანმშენი" (თელავი) 4:2, „სამცხე" (აწყური) — „დურუჯი" (ყვარელი) — 0:2.

#### II ზონა

„ზემოქართლი" (ხაშური) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:1, „ცისარტყელა" (თბილისი) — „აერო" (გალი) 0:3, „ლაითური" (მახარაძე) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:0, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:0.

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილები

#### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I-X ადგილები — მდგომარეობა 3 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შუქურა" (ქობულეთი) | 7 | 5 | 2 | 0 | 19—12 | 12 |
| „სინათლე" (თბილისი) | 6 | 3 | 1 | 2 | 11—6 | 7 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 5 | 2 | 3 | 0 | 8—5 | 7 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 6 | 3 | 1 | 2 | 9—7 | 7 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 4 | 1 | 3 | 0 | 3—2 | 5 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 7 | 1 | 3 | 3 | 7—10 | 5 |
| ფიზ. ინსტ. (თბილისი) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—5 | 4 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 5 | 2 | 0 | 3 | 9—12 | 4 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 7 | 0 | 4 | 3 | 7—11 | 4 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 6 | 1 | 1 | 4 | 5—11 | 3 |
| **XI-XXIV ადგილები** | | | | | | |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 4 | 2 | 2 | 0 | 5—2 | 6 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—2 | 5 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 2 | 2 | 0 | 0 | 5—1 | 4 |
| „ისანი" (თბილისი) | 2 | 1 | 1 | 0 | 6—4 | 3 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 3 | 1 | 1 | 1 | 6—5 | 3 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3—3 | 3 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—4 | 3 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 4 | 1 | 0 | 3 | 3—3 | 2 |
| „ირისთონი" (ცხინვალი) | 3 | 0 | 2 | 1 | 4—6 | 2 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—1 | 1 |
| ასკ (თბილისი) | 2 | 0 | 1 | 1 | 3—4 | 1 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—6 | 1 |
| „დინამო" I (თბილისი) | 1 | 0 | 0 | 1 | 1—4 | 0 |

#### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 22 | 16 | 3 | 3 | 52—14 | 35 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 19 | 14 | 2 | 3 | 35—15 | 30 |
| „ალაზანმშენი" (თელავი) | 19 | 12 | 2 | 5 | 33—26 | 26 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 21 | 9 | 5 | 7 | 35—34 | 23 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 20 | 7 | 6 | 7 | 35—34 | 20 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 20 | 7 | 6 | 7 | 24—28 | 20 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 19 | 8 | 3 | 8 | 24—21 | 19 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 19 | 6 | 5 | 8 | 10—14 | 17 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 20 | 4 | 9 | 7 | 15—25 | 17 |
| „სამცხე" (აწყური) | 18 | 4 | 7 | 7 | 23—32 | 15 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 22 | 4 | 5 | 13 | 16—25 | 13 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 20 | 1 | 3 | 16 | 21—55 | 5 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აერო" (გალი) | 23 | 14 | 8 | 1 | 40—15 | 36 |
| „ლაითური" (მახარაძე) | 23 | 14 | 7 | 2 | 32—15 | 35 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 23 | 12 | 7 | 4 | 44—27 | 31 |
| „სულორი" (ვანი) | 22 | 10 | 8 | 4 | 29—20 | 28 |
| „კოლხიდა" (ხობი) | 23 | 11 | 5 | 7 | 36—22 | 27 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 23 | 9 | 7 | 7 | 27—37 | 25 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 22 | 9 | 6 | 7 | 40—28 | 24 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 23 | 8 | 7 | 8 | 38—35 | 23 |
| „ცისარტყელა" (თბილისი) | 23 | 11 | 0 | 12 | 30—32 | 22 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 23 | 8 | 5 | 10 | 32—35 | 21 |
| „კოლხიდმშენი" (ფოთი) | 24 | 4 | 3 | 17 | 26—46 | 11 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 23 | 4 | 1 | 18 | 22—54 | 9 |
| „ცისკარა" (ბათუმი) | 23 | 2 | 2 | 19 | 11—41 | 6 |

## ულში

ული სსრ კავშირის ჩემპიონატს გაითამაშებს. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ „ლოკომოტივი" სამტრედიაში 3 წამყვანი მოთამაშის გარეშე გამოდიოდა, ნათელი გახდება, რომ ფინალში იგი უფრო ძლიერი შემადგენლობით ითამაშებს და ალბათ საპრიზო ადგილისთვისაც იბრძოლებს.

ახლა გუნდის წინაშე გადაუდებელი ამოცანა დგას: მაქსიმალურად გამოიყენოს ფინალამდე დარჩენილი დრო, რათა რეგბისტთა პირველ საკავშირო ჩემპიონატში ღირსეულად დაიცვას საქართველოსა და თავისი საზოგადოების სპორტული ღირსება.

გ. ტონია.



სურათზე: თბილისისა და ერევნის „დინამოს" რეგბისტთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. სილივესტროვისა.

## ფოტო თვალით



ფეხბურთელ ვაჟთა გუნდების მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში, რომელიც პრაღაში გაიმართა, უძლიერესის სახელი მასპინძლებმა მოიპოვეს. ს უ რ ა თ ზ ე მარჯვნივ აღბეჭდილია განვლილი ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის მომენტი. ერთმანეთს ხვდებიან ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გუნდები. შეხვედრა მასპინძლებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგეს (3:2). ეს ს უ რ ა თ ი იმითაა საყურადღებო, რომ მასპინძელთა მიერ ოსტატურად დაყენებულ სამმაგ ბლოკს შესანიშნავად უმკლავდება საბჭოთა გუნდის კაპიტანი პოიარკოვი. მან შეტევითი დარტყმა უკვე განახორციელა, ჩეხებმა შეძლეს მისი მოგერიება, მაგრამ პოიარკოვი რთულ მდგომარეობაში მაინც ახერხებს ბურთის კვლავ აღებას. უნდა აღინიშნოს, რომ პოიარკოვი ერთ-ერთი უძლიერესი და საუკეთესო იყო საბჭოთა გუნდიდან და იგი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

ფოტო პოლონურ ჟურნალ „სპორტოვეციდან".





ამას წინათ ბუდაპეშტში დამთავრებულ მძლეოსანთა ევროპულ ჩემპიონატში ბადროს ტყორცნაში ყველა საპრიზო ადგილი გერმანელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ქალთა შორის უძლიერესი იყო ტ. შპილბერგი (გდრ) — 57,76 მ, ვაჟებში სამივე მედალი გდრ-ს ათლეტებმა გაიყვეს. გამარჯვებულმა დ. ტორიტმა აჩვენა 57,42 მ. ეს ფაქტი მძლეოსნობის ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა. ასევე სენსაციური იყო საბჭოთა ბადროს მტყორცნელ ქალთა წარუმატებლობა, მაშინ როცა, ისინი წინა ჩემპიონატებში ყოველთვის იმარჯვებდნენ.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ტ. შპილბერგი ასპარეზობისას.

# ყველასთვის საჭირო წიგნები

თითქმის 6 ათასი დასახელების წიგნი, რომელთა ტირაჟი ას მილიონ ეგზემპლარს აღემატება, უამრავი ჟურნალი, პლაკატი, ფურცელი — აი, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის" მრავალწლიანი მუშაობის შედეგი. აას-ის კორესპონდენტი ეწვია გამომცემლობის დირექტორს მ. ტოროპოვს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

**● „ფიზკულტურა ი სპორტი" სსრ კავშირის ერთადერთი გამომცემლობაა, რომელიც მხოლოდ სპორტულ ლიტერატურას უშვებს. გთხოვთ მოგვითხროთ მისი ისტორია.**

— საბჭოთა მკითხველმა თითქმის 40 წლის წინათ მიიღო პირველად წიგნი მარკით „ფის". მისი ავტორი ჯანმრთელობის სახალხო კომისარი, ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნ. სემაშკო გახლდათ.

1925 წელი გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის" დაბადების წელია, თუმცა ეს სახელი მხოლოდ 1930 წლიდან დამკვიდრდა. გამომცემლობა წლების მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა საბჭოთა ხალხის ყოფაში ფიზიკური კულტურის დანერგვისთვის, ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა დაოსტატებას, ეხმარებოდა მათ საერთაშორისო ასპარეზზე რეკორდებისა და გამარჯვებათა მოპოვებაში.

გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტს" ამჟამად ორი სექტორი აქვს: წიგნებისა და ჟურნალების. წიგნების სექტორი შედგება 5 რედაქციისგან, რომლებიც გამოცემენ პროპაგანდისტულ-მასობრივ ლიტერატურას, ლიტერატურას ფიზკულტურის ზოგად საკითხებზე, სპორტის ძირითად და გამოყენებით სახეობებზე, მხატვრული გაფორმებისა და შეკვეთილ ბეჭდვით პროდუქციას. საჟურნალო სექტორში გაერთიანებულია რედაქციები ჟურნალებისა „ფიზკულტურა ი სპორტის", „ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტური", „ლიოგკაია ატლეტიკა", „სპორტივნიე იგრი", „შახმატი ვ სსსრ" და „შახმატნი ბიულეტენ".

**● რა შეიცვალა „ფიზკულტურა ი სპორტის" საგამომცემლო გეგმებში მას შემდეგ, რაც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ?".**

— ამ დოკუმენტში ლაპარაკია მარტივ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის გაფართოების აუცილებლობაზე იმ მიზნით, რომ ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაებას მილიონობით საბჭოთა ადამიანი. ჩვენ გახზრახული გვაქვს გამოცემა 10 წიგნისა და ბროშურისა, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ სკოლებს, საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს სპორტული ნაგებობების დამოუკიდებლად მშენებლობაში. ამ ლიტერატურის გაცნობით ფიზკულტურელებს გაუადვილდებათ როგორც მარტივი, ისე კომპლექსური სპორტული მოედნების საკუთარი ძალებით აშენება. სახელდობრ, გამოვცემთ ბროშურას „უმარტივესი აუზები". ამ ბროშურით დაინტერესებული მკითხველი შეიტყობს, თუ როგორ შეიძლება ბუნებრივი წყალსაცავების გამოყენება სპორტის საწყლოსნო სახეობებში მეცადინეობისთვის. ამას გარდა, გამოვა „სოფლის ფიზკულტურელის" ბიბლიოთეკის 6 წიგნი, რომლებიც სოფლად სპორტული მუშაობის უკეთ გაშლას შეუწყობენ ხელს, გააცნობენ სოფლის სპორტსმენებს სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებების წესებს, წვრთნის საფუძვლებს, სპორტის ტექნიკასა და ტაქტიკას.



**● რა ახალ წიგნებს დასტამბავს გამომცემლობა გაისად?**

— 1967 წელს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წელი უსრულდება ამ საიუბილეო თარიღისთვის საგანგებოდ გამოვცემთ რამდენიმე სქელტანიან წიგნსა და ბუკლეტს. ეს იქნება, უპირველეს ყოვლისა, „სპორტი და საუკუნე", რომელიც მასობრივი მკითხველისთვისაა გათვალისწინებული. მისი ავტორები — ცნობილი სპორტული ჟურნალისტები და მწვრთნელები მოგვითხრობენ დიდ სპორტში საბჭოთა ათლეტების მიღწევებზე.

მეცნიერული მონოგრაფია „ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში" ასახავს სპორტის განვითარებას საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ყველა ეტაპზე. დაისტამბება ალბომი-სუვენირი „გზა ოლიმპისკენ", რომელშიც გაშუქდება საბჭოთა სპორტსმენების წარმატებები ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღეებში გამოვა, აგრეთვე, ბუკლეტები „საბჭოთა სპორტის იუბილე" და „ზამთრის სპორტი".

საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისთვის შემოვიღეთ საგანგებო ბიბლიოთეკა „სპორტი ბავშვებს". ამ წიგნებში თავი მოეყრება მდიდრად ილუსტრირებულ ნარკვევებსა და მოთხრობებს. ბიბლიოთეკა მოსწავლეებს გააცნობს სპორტის სხვადასხვა სახეობას, ამა თუ იმ ფიზიკური ვარჯიშის შექმნის ისტორიას. ამ წიგნებში ნორჩი მკითხველი იპოვის საინტერესო რჩევადარიგებებს, თუ როგორ ივარჯიშოს თავად, როგორ შეადგინოს დღის განაწესი.

ფიზკულტურის უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები ასობით მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს უშვებენ. ანატომია, ფიზიოლოგია და თანამედროვე წვრთნის საფუძვლები, სპორტული ბრძოლის ფსიქოლოგია — სტუდენტები ყველა ამ დისციპლინას სწავლობენ. მეცნიერება დღითი-დღე მდიდრდება ახალ-ახალი აღმოჩენებით. ამიტომ მუდამ დიდი მოთხოვნაა ახალი სახელმძღვანელოებისა, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურისა. ჩვენი გამომცემლობის საერთო პროდუქციაში სასწავლო ლიტერატურა ქვლავაც მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს.

**● თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენი გამომცემლობის ყველაზე პოპულარული ლიტერატურის შესახებ?**

— გამომცემლობა „ფის" ყოველწლიურად მასობრივი ტირაჟით გამოცემს ბროშურებს სერიიდან „ტანვარჯიში ყველასთვის" და მაინც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. ამიტომ „ჯანმრთელობა თქვენს ხელშია", „ფიზკულტურა ოჯახში", „უბერებლობის საიდუმლო", „როცა ორმოცისა ხარ" და სხვა ამგვარი ხასიათის წიგნები მუდამ შეგვაქვს გამოცემისა და პერსპექტიულ გეგმებში.

გამომცემლობა არც ქალებს ივიწყებს. „ქალის სილამაზე და ჯანმრთელობა", „დედობა და ფიზკულტურა", „ქალი და სპორტი", — ეს წიგნები დიდი მოწონებით სარგებლობს საბჭოთა მკითხველებში. წლეულს მასობრივი ტირაჟით გამოიცა ცნობილი ექიმისა და პედაგოგის გ. ვოიაჩკოვას (ჩეხოსლოვაკია) წიგნი „მოძრაობა — ქალის სილამაზისა და ჯანმრთელობის საწინდარი".

დაგეგმილი გვაქვს ბევრი უცხოელი ავტორის წიგნის დასტამბვა. 1967 წელს ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობასთან ერთად განზრახული გვაქვს გამოვცეთ წიგნი „ჩვენი სპორტული ვარსკვლავები", რომელშიც ნაამბობი იქნება გამოჩენილ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენებზე, ახალ ჩეხოსლოვაკიაში ფიზიკური კულტურის განვითარებაზე საბჭოთა სპორტული სკოლის გავლენის შესახებ. უნგრეთის გამომცემლობასთან ერთად გამოვუშვებთ სასწავლო-მეთოდურ წიგნს „ცურვა". დაიბეჭდება „სპორტული ორიენტირება ადგილზე" (თარგმნილია ფინური ენიდან) და „რბენა, რბენა, რბენა" (ინგლისურიდან). დიდხანს არც ეს წიგნები შერჩება დახლს.

ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტული ლიტერატურა. გაისად გამოვცემთ 10 წიგნს — „დასვენების დღის ტურიზმი", „როგორ გავშალოთ კარავი", „მოგზაურობა კოლის ნახევარკუნძულზე", სხვა მეგზურებსა და ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ტურისტულ მარშრუტებს

არ გვავიწყდება ნადირობისა და თევზჭერის მილიონობით მოყვარულთა მოთხოვნებიც. მათთვის გათვალისწინებული გვაქვს რამდენიმე პოპულარული წიგნი.

**● რას გამოცემთ ფიზიკური კულტურის თეორიის საკითხებზე?**

— „სპორტი და გული", „სპორტსმენებს სპორტული ფორმის შესახებ", „სპორტი და სუნთქვა", „სპორტსმენის თვითკონტროლი". — აი, არასრული სია იმ წიგნებისა, რომლებშიც ღრმადაა გაშუქებული სპორტის თეორია და რომლებიც გაისად იხილავენ დღის სინათლეს. სპორტსმენებს მხოლოდ წვრთნის ზოგადი საკითხები როდი აღელვებთ. ამიტომ, ბუნებრივია, ყოველ მათგანს ებადება მის მიერ არჩეულ სახეობასთან დაკავშირებული მრავალი კითხვა. გამომცემლობა არც მათ დატოვებს უპასუხოდ.

**● ძირითადად რომელ ავტორთა ძალებს ეყრდნობა გამომცემლობა?**

— ჩვენი წიგნების სატიტულო ფურცლებზე ამოიკითხავთ გამოჩენილი მწერლების — ლ. კასილის, ი. ნაგიბინის, ი. ტრიფონოვის, ა. კულეშოვის, გ. სვირიდოვის სახელებს. ხშირად ვბეჭდავთ ჩვენი საუკეთესო სპორტული ჟურნალისტების შემოქმედებასაც. მაგრამ ჩვენი ავტორების უმრავლესობა სპორტსმენები და მწვრთნელები არიან, მაგალითად, ი. ვლასოვი, გ. შატკოვი, გ. კორობკოვი, ნ. ოზეროვი, რ. ჟუკოვა, ე. ოგურენკოვი, ნ. ოზოლინი, ა. სტაროსტინი, კ. გრადოპოლოვი, ვ. დიაჩკოვი და სხვ. ჩვენთვის წერენ ცნობილი საბჭოთა მეცნიერებიც — მედიკოსები, ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები და ფიზიკური აღზრდის თეორეტიკოსები.

ჩვენი განზრახვაა ყოველწლიურად გამოცემული წიგნების საერთო ტირაჟი ათ მილიონ ეგზემპლარამდე გავზარდოთ.

ბ. ოლშევსკი.

## დარჩა ექვსი ტური

თბილისის უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევი ტურნირი, რომელიც ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს, ფინიშს მიუახლოვდა. ამიტომაც მოჭადრაკეები თვითეულ შეხვედრას დიდი პასუხისმგებლობით თამაშობენ.

VII ტურში ო. ელიოზიშვილმა და ს. ჩეჩელიანმა თავი აარიდეს ნამდვილ ბრძოლას და 21-ე სვლაზე დაზავდნენ. ყაიმით დასრულდა ზ. მიქაძე — ე. უბილავას შეხვედრაც, მაგრამ აქ მეტოქენი არ მორიდებიან გართულებებს.

პ. არნშტეინის მძაფრ ცაიტნოტში გათამაშდა მისი პარტიის ფინალი ა. კირვალიძესთან. რა თქმა უნდა, ძნელია ცაიტნოტში თამაში, მით უმეტეს, როცა რამდენიმე წუთში 18 სვლა გაქვს გასაკეთებელი. პ. არნშტეინმა უსწოროდ ითამაშა და დამარცხდა. ე. მიქაელიანმა მოუგო გ. ციხელაშვილს. 2 პარტია გადაიდო.

VIII ტურში კვლავ ისახელა თავი ს. ჩეჩელიანმა. სიცილიურ დაცვაში გ. ციხელაშვილს მან რთული ბრძოლა შესთავაზა. მთელი 5 საათი არ განელებულა დაძაბული პაექრობა. 41-ე სვლაზე ს. ჩეჩელიანმა გაიმარჯვა.

გ. მაჭავარიანმა 36-ე სვლაზე მოუგო ა. კირვალიძეს. ერთი სვლით ნაკლები გაკეთდა ე. მიქაელიან — მ. თხელიძის პარტიაში, რომელშიც შავები დანებდნენ. ზ. მიქაძემ წარმატებით მოიგერია ს. მეგრელიშვილის შეტევა და გაიმარჯვა. 2 პარტია არ დამთავრებულა.

8 ტურის შემდეგ ს. ჩეჩელიანს 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ო. ელიოზიშვილს —4,5 და 1 გადადებული პარტია, ე. მიქაელიანს — 4,5, მ. თხელიძეს — 4 და 1 გადადებული პარტია, გ. ციხელაშვილს — 4.



▲ კინგსტონი. აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ბრიტანეთის თამაშებში 440 იარდზე რბენაში გამარჯვებულმა მოტლიმ ეს მანძილი 45,2 წამში კი არა, ზუსტად 45 წამში გაირბინა. ეს შედეგი კი 0,1 წამით ჩამორჩება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

▲ პ ლ ო ვ დ ი ვ ი. აქ გაიმართა ბულგარეთისა და საბერძნეთის მესტენდურეთა პირველი ამხანაგური შეხვედრა. როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვეს სტუმრებმა. პირად ტურნირში ადგილიდან სროლა მოიგო ევროპის ექს-ჩემპიონმა სისტოვარისმა, მრგვალ სტენდზე სროლა — პანგელომ.

▲ მ ი ლ ა ნ ი. ჩრდილოეთ იტალიის გაზეთები ავრცელებენ აზრს, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების მწვრთნელად შვეციელ ნ. ლიდჰოლმის დანიშვნას აპირებს. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იტალიის პროფესიულ გუნდებში თამაშობდა. ერთადერთი, ვისაც შეუძლია მას მეტოქეობა გაუწიოს, ე. ერერაა. მაგრამ გაზეთები აღნიშნავენ, რომ „ინტერნაციონალეს" გუნდი, რომელსაც ერერა წვრთნის, 12 ოქტომბერს წააგებს საპასუხო მატჩს მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოსთან" და ერერას აქციები დაეცემა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო—3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

11 უე 12808